ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 31

დ. ასპინძა **19 დეკემბერი 2019 წ.**

ერთის მხრივ - შპს „ასპინძის კეთილმოწყობა“ (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის, ნოდარ გვარამაძის სახით და მეორეს მხრივ - შპს ,,თეგეტა მოტორსი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი სახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსის მიხეილ ვაშაკიძის (ბრძანება #152; გაცემული 2019 წლის 01 ივლისს, შპს „თეგეტა მოტორსის“ გენერალური დირექტორის ავთანდილ წერეთლის მიერ) სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“,„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“საქართველოს კანონის მე-10-ე მუხლის საფუძველზე ვმოქმედებთ,გამარტივებული შესყიდვების საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2„ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნითი შესრულებისათვის.

1.3„დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4„შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5„მიმწოდებელი“ - იურიდიული/ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში

1.6„საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7„ფორსმაჟორი“ - მხარეებისათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ,,შემსყიდველისა“ და/ან ,,მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, საომარი მოქმედებებით, სტიქიით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა ისეთი მოვლენით, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ან/და იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

2.ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

2.1 ხელშეკრულების საგანია ასპინძის კეთილმოწყობის ბალანსზე რიცხული ა/მანქანის FORD TRANSIT სახ. ნომრით JJ646IJ ფილტრების შეძენა და შეცვლა. (CPV კოდი 42900000) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. კერძოდ: ჰაერის ფილტრისა და საწვავის ფილტრის შეცვლა.

3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 100 ლარს. საიდანაც ჰაერის ფილტრი 1ც -15 ლარი, საწვავის ფილტრი -1ც 85 ლარი,

4. საქონლის მიღება - ჩაბარებისა და ანგარიშსწორების წესი

4.1. „მიმწოდებელი“ აწვდის „შემსყიდველს“ საქონელს ხელშეკრულების გაფორმებიდან **2019 წლის 30 დეკემბრის** ჩათვლით, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.2 საქონლის მიწოდების ადგილია: დ.ასპინძა, ერეკლე მეფის ქ #4

4.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება- ჩაბარების აქტი.

4.4. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელი პირია შპს "ასპინძის კეთილმოწყობის" დირექტორი ნოდარ გვარამაძე.
4.5 საქონელი ჩიათვლება მიწოდებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.
4.6. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ანგარიშ-ფაქტურა. ანგარიშსწორება ხორციელდება ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

5. მხარეთა უფლებები და ურთიერთვალდებულებები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

5.2მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება
5.3. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება.

6. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

6.1 მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.
6.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაიხადოს პირსაგამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.5%.
6.3. სანქციების დაწესება არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ფორს-მაჟორი

7.1მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
7.2თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობითი ფორმით აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.
7.3.მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
8.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ საქართველოს საერთო სასამართლოებს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.
8.3 მხარეთა შორის დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობით.

9. სხვა პირობები

9.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

9.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

9.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან, ერთი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა უნდა იყოს შესრულებული ქართულ ენაზე.

9.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2020** წლის **31 იანვრის** ჩათვლით.

11. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
შპს „ასპინძის კეთილმოწყობა“	**შპს ,,თეგეტა მოტორსი“**
მისამართი: **დ. ასპინძა მეფე ერეკლეს ქ #5**	მისამართი: **ქ. თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №5**
საიდენტიფიკაციო კოდი: **423098016**	საიდენტიფიკაციო კოდი: **202177205**
ბანკი: **სს“თიბისი ბანკი“**	ბანკი: **სს თი ბი სი ბანკი**
ბანკის კოდი: **TBCBGE22**	ბანკის კოდი: **TBCBGE22**
ა/ა GE77TB7194736020100002	**GE80TB 0600000024467853**
დირექტორი:	**სახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი**
ltd improvements of aspindza Digitally signed by ltd improvements of aspindza Date: 2019.12.20 10:01:12 +04'00' ----------	Tegeta Motors LLC Digitally signed by Tegeta Motors LLC ----------
ნ. გვარამაძე	მ. ვაშაკიძე